

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 9 6 3

ქ. ბათუმი, 01 დეკემბერი 2015 წ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა და მიწისა, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ქონებაზე და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული, ასევე არ არის და არც სამომავლოდ ექვემდებარება არც სახელმწიფო ქონებაზე და არც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას, ექვემდებარება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, რა დროსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროება არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, არც სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს და არც სხვა რომელიმე უწყების თანხმობა, არამედ საჭიროა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისი მიმართვა წარადგინოს საჯარო რეესტრში და მოითხოვოს მიწის ნაკვეთების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 1) ქ. ბათუმში, ლესელიძის ქ. №6-ში არსებული 1 500,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 2) ქ. ბათუმში, ინასარიძის ქ. №1-ს მიმდებარედ არსებული 33,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას, რადგანაც ის საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული, ასევე არ არის და არც სამომავლოდ ექვემდებარება არც სახელმწიფო ქონებაზე და არც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას, არამედ ექვემდებარება მხოლოდ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას, რა დროსაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს არ ესაჭიროება არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, არც სსიპ „სახელ-

მწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს და არც სხვა რომელიმე უწყების თანხმობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის) სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე:

ა) ქ. ბათუმში, ლესელიძის ქ. №6-ში არსებული 1 500,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

ბ) ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. №1^ა-ს მიმდებარედ არსებული 33,00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უძრავი ქონება წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ დამატებით ქონებას.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს (ი. არჩაია) საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება.

4. ბრძანების შესრულება დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ე. ლომაძე).

5. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი №61001010495).

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი